[illegible]

№ 380 1918 წ. კვირა ნოემბრის 10. № 380

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
[illegible] 60 კაპ.

ტფილისში სამხედრო წესები გამოაცხადეს. — გერმანიას ვილსონმა გაუგზავნა მოკავშირეთა საპასუხო ნოტა. — მოკავშირენი თანახმანი არიან ვილსონის პირობებზე, გარდა ზღვათა თავისუფლების პუნქტისა. — მარშალ ფოშთან უკვე მივიდა გერმანიის დელეგაცია. — ოსმალეთი ლტოლვილებს უკან დაბრუნების ნებას მისცემს მხოლოდ დეკემბრის დამლევს. ბათომიდან ოსმალთა ჯარის ნაწილი წავიდა.

ღრმად დამწუხრებული მამა ბართლომე ვასილის ძე ვაშაკიძე შვილებით ნინო, შალიკო და ვენერა, დიდედა და პაპა მარიამი და ალექსი ყვავილოვები შვილებით: ვარა კუხიანიძისა, ლუბა ზადიკაშვილისა, ბიძები კოსტა და მიშა ყვავილოვები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი

ნიკოლოზ (ნიკაშა) ბართლომეს ძე ვაშაკიძე.

მოასვენებენ ბორჯომიდან. ტფილისის სადგურიდგან გამოასვენებენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კვირას, წირვის შემდეგ პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. 2334

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიის ქ. ზესტაფონის ორგანიზაცია აცხადებს, რომ დღეს, ნოემბრის 10-ს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ამხანაგ

ვასილ არდიშვილის

სულის მოსახსენებლად. 1407

ღრმად დამწუხრებული მშობლები მართა თომას ასული და სიმონ ტიმოთეს ძე მანჯავიძენი შვილებით: დიმიტრი, ვლადიმერ და რძალი ანა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ნოემბრის 12-ს, იოანე მახარობლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ შვილის

ლუდას

სულის მოსახსენებლად 2338

ვერა, ქიონია და ნანო; იპპოლიტე სპირიდონის ძე დუგლაძე, სპირიდონ ოტიას ძე ბენდუქიძე და ვასილ დიმიტრის ძე გაბუნია აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ნოემბრის 12-ს ხაზურის იოანე მახარობლის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა უძვირფასესი დის, ბოლო უკანასკნელთა საყვარელი ცოლი დის

ლუდმილა [ლუდა] სიმონის ასულ მანჯავიძის

სულის მოსახსენებლად. 2338

მღვდელი ისაკ ბ. ახვლედიანი შვილებით: ვალერიანე, თამარ, ელენე და ნადეჟდათი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სოფელ ეწერში უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველისა მეუღლე, მეორეთა დედა

მარიამ გიორგის ასული ახვლედიანისა

გამოსვენება კვირას, ნოემბრის 10-ს. 10 საათზე წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა აქვე. 2336

ღრმად დამწუხრებულნი დები: ელენე, ევგენია (ჟენია) და ნადეჟდა, სიძეები: ვასილ ხახიშვილი, ლევან ბურჭულაძე და ევსევი (იასე) ზალდასტანიშვილი და მისი საყვარელი პატარა დის შვილი დათა ბურჭულაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ივანე (ვანიჩკა) დავითის ძე დოდაშვილი.

ცხედრის გამოსვენება მოხდება დღეს, კვირას ნოემბრის 10-ს დილის 10 საათზე, საკუთარ ბინიდან (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 113) კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში და პანაშვიდის გადახდის შემდეგ დაკრძალვა მოხდება ამავე ეკლესიის სასაფლაოზე. 2337

სახელმწიფო თეატრი

კვირას, ნოემბრის 10-ს, **ოპერა**

პირველი დილის წარმოდგენა.

ევგენი ონეგინი ოპერა 3 მოქმ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: მანდენოვისა, იანკი, მოროზოვისა, ბ-ნნი მოლჩანოვი, ვრონსკი, საბინინი. დასაწყისი დღის 12 საათზე.

საღამოთი ტ. ი. შვამბერგის, ა. მ. კანშინის, პ. ი. მოლჩანოვის ლ. ნ. ისეცკის მონაწილეობით **საღამოთი**

ჟიდოვკა

დირიჟორი—სტოლერმანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები საგრძნობლად დაკლებულია.

ანონსი: ორშაბათს, ნოემბრის 11-ს, შულგინას, კანშინის, ვრონსკის და ისეცკის მონაწილეობით „კარმენი“, კარმენის როლს შეასრულებს შულგინა. სამშაბათს, ნოემბრის 12-ს საბანეევას, ბერეზინის და პოლიაევის მონაწილეობით „ტრავიატა“. ოთხშაბათს, ნოემბრის 13-ს ალეშკოს და ორლას მონაწილეობით „ტოსკა“.

დასის წარმომადგენელი ს. ი. ეულახოვი.

კასა ღიაა 10—2 ს., საღამოს 6 ს. სპექტაკლის გათავებამდე. 1397

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

კვირას, 1918 წ. ნოემბრის 10-ს გაიმართება

დიდი სადღესასწაულო

წარმოდგენა სამს განყოფილებად, ოცი ნომერია. დღეს გამოვლენ: იაპონელთა ცნობილი დასი მთლიანად, ცნობილივე ხუმარა კლოუნი გაწვრთნილი ცხოველებით ბ ფლორენსი. ხუმარა დიმი და ვიქტორი, აგრეთვე ხალხის საყვარელი იუმორისტები მარიამ და ანტონ ზინკოვსკები. დასაწყისი საღამოს 8 ს.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2339

რაჭული საღამო

სამშაბათს ნოემბრის 12-ს, ქართულ კლუბში გაიმართება ფრიად საინტერესო არაჩვეულებრივი რაჭული საღამო, სადაც მონაწილეობას მიიღებენ რაჭველთა ყველა საუკეთესო ძალები. საღამოს შინაარსი: 1. სიტყვა რაჭველებზე. 2. ხალხური ლექსები პოეზია, 3. ისტორიული რაჭული სიმღერები, 4. სტვირთა დაკვრა-ღიღინი, 5. ფერხული, 6. თარი, 7. ცეკვა-თამაში და სხვა...

ბილეთები ამ თავითვე იყიდება კლუბის კასაში. საღამოს მთავარი გამგეველი დვალი. 2328

მეორე ქართული კლუბი

(მიხეილის პროსპექტი 129)

შაბათს, ნოემბრის 9 და კვირას ნოემბრის 10-ს

საზამთრო შენობაში

გაიმართება **ლოტო** გაიმართება

საქველმოქმედო მიზნით. დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. 1394

ტფილისი, ნოემბრის 9.

დაშნაკცაკანები პარლამენტში

საქართველოს პარლამენტმა საკმაოდ გამოაშკარავა პროვოკატორული და ავანტიურისტული როლი დაშნაკცაკანების პარტიისა. ყველასთვის ნათელი და აშკარა გახდა, რომ დაშნაკცაკანებს ჰსურთ დამშვიდებული ჩვენი ცხოვრება, ერთად-ერთი მტკიცე საფუძველი და საწინდარი ჩვენი სახელმწიფოებრივობის განმტკიცებისა, კვლავ აამღვრიონ და ამ საშუალებით ჩვენი ქვეყნისკენ მოიზიდონ გარეშე ძალა, რომელიც საქართველოს „დამშვიდებას“ შეუდგება. სომეხ-თათართა ჟლეტის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს ამ ავანტიურისტულ პარტიას, რომელსაც მხოლოდ მოღალატური საქციელიც, ზურგიდან მახვილის დაკვრით და ძმათა შორის ჟლეტის გამოწვევის სურვილითაა გატაცებული. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განმარტებამ, რომელიც, პარლამენტის დადგენილებით, ოთხ ენაზე დაიბეჭდება და მთელ საქართველოს მოეფინება, სავსებით გამოარკვია ფაქტიური მხარე და ცხადჰყო ყველასთვის, რომ დაშნაკცაკანებმა მხოლოდ ხელზე დაიხვიეს ლტოლვილთა საკითხი, ნამდვილად კი მათ სულ სხვა რამ აფიქრებს. მათ აწუხებთ სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და ის უნარი სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა, რომელიც ქართველმა ხალხმა გამოიჩინა. თუ არა ამნაირის განზრახვით, სხვა არაფრით შეიძლება აიხსნას ის უსინიდისო განგაში, რომელიც ერთბაშად ასტეხა სომხურმა პრესამ საქართველოს წინააღმდეგ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ საქართველოს პარლამენტის სომეხი დეპუტატები დაჰგმობდნენ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ იმ გაზეთებს, რომლებიც ჰბედავენ და საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელებს სისხლში მოსვრილ ენვერ-ფაშას ადარებენ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ დაშნაკცაკანები დაჰგმობდნენ და სამარცხვინო ბოძზე გააკრავდნენ იმ ბოროტგანმზრახველებს, რომელნიც შეთქმულებას ახდენენ საქართველოს დედა-ქალაქში და ხიდებს გვიფეთქებენ. მაგრამ ეს საკითხები სომხის დეპუტატებმა ყრუდ ჩაატარეს. მხოლოდ ბ-ნი ზორიანი შეეხო გაკვრით ამ საკითხს და ისიც იმნაირად, რომ ჩვენში უფრო გააძლიერა ეჭვები. პარლამენტს როგორღაც გამოეპარა მხედველობიდან ბ-ნი ზორიანის სიტყვები, რომლებითაც ჩვენის აზრით, ყველაფრის ახსნა შეიძლება.

როდესაც დეპუტატებმა უკიჟინეს დაშნაკცაკანებს, თქვენ გინდათ რეულობა და ძმათა სისხლი გამოიწვიოთ საქართველოში, თქვენ გინდათ საქართველოსთვის დაბრკოლებანი შეჰქმნათ, ბ-ნმა ზორიანმა განაცხადა გარწმუნებთ ჩვენ ასეთი განზრახვა და ინტერესი არა გვაქვს, თუ არის ინტერესი, по ту сторону границы-ო.

ყოველს ადამიანს, რომელსაც კი მსჯელობის უნარი არ დაუკარგავს, მიხვდება, რომ თუ საზღვარს იქით (იგულისხმე სომხეთი) არსებობს ინტერესი ჩვენი ცხოვრების არევ-დარევისა, არ შეიძლება მან სათანადო გამოხმაურება არა ჰპოვოს საზღვარს აქეთკენაც. თუ საზღვარს იქით დაშნაკცაკანების პარტია დაინტერესებულია ჩვენის დანგრევით, განადგურებით, არ შეიძლება ასეთივე ინტერესი არ დაებადოს საზღვარს აქეთ იმავე დაშნაკცაკანების წარმომადგენელსა და მის ორგანოს „ჰორიზონს“ და თუ ეს ასეა, მაშინ „ჰორიზონში“ გამართული კამპანია უნდა შეფასდეს არა მხოლოდ სტილის მხრით როგორც ამას ბ-ნი ზორიანი ცდილობდა, არამედ იმ ინტერესის მხრით რომელიც საზღვარს იქით დაბადებულა და საზღვარს აქეთ ჰპოულობს ცხოველ გამოხმაურებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სწორედ ასეთია. ჩვენში ატეხილი დავა საქართველოს წინააღმდეგ იმნაირივე წარმოშობისაა, რანაირიც საზღვარს იქით განმტკიცებულა სულიერი განწყობილებაო. სწორედ ამიტომაც ჩვენი ქვეყნის დაშნაკცაკანების მოქმედება ჩვენ თამამად შეგვიძლიან დავახასიათოთ, როგორც პირდაპირი ამბოხება და ღალატი საქართველოს მიმართ. გვეგონა, საქართველოს პარლამენტის სომეხი დეპუტატები შეეცდებოდნენ ეს საზღვარი დაედოთ თავიანთი მოქმედების ხაზსა და იმ მოქმედებას შორის, რომელიც საზღვარს იქით სწარმოებს. მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს. პირიქით, უფრო გააღრმავეს ჩვენში ის რწმენა, რომ საქართველოს დანგრევით ერთნაირად არიან დაინტერესებულნი როგორც საზღვარ-იქითელი, ისე საზღვარ აქეთელი დაშნაკცაკანები. მთავრობა და პარლამენტი აქედან, რასაკვირველია, სათანადო დასკვნას გამოიტანს.

მტკიცე პოლიტიკა

დაშნაკელების პროვოკაციულმა გამოლაშქრებამ ერთხელ კიდევ წამოაყენა ცინ საკითხი ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა. მოუმზადებელნი და შეუჩვეველნი ვართ და ბევრი ახალი საშუალების და გზის გამონახვა გვჭირდება. ერთბაშად სწორს მიმართულებას ვერ დავადექით, შეცდომები მოგვდის. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო საშძიმოა საერთო სახელმწიფოებრივი ტონის არჩევა, ის საერთო ხაზი, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს სულს, რომელიც აძლევს მას საარსებო ძალას, რომელიც განათვისებს მას სხვა საზოგადოებრივ სხეულისაგან.

გამოვაცხადეთ ყოველნაირი თავისუფლება—სხვაფერ ვერც მოიქცეოდა დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ შეიძლება ერთს წუთსაც არის იფიქროს ვინმე, რომ ეს თავისუფლება ნიშნავს ყველაფრის მოქმედებას და თქმას! არის საზღვარი, საზღვარი სახელმწიფოებრივობისა, რომლის გადალახვა არ ძალუძს არავითარ დემოკრატიულ წყობილებას, და რომლის იქით არსებობს მხოლოდ ანარქია და დარღვევა და არა ორგანიზაცია, სახელმწიფო. ჩვენში საუბედუროდ მრავალმა ისე გაიგო მაგალითად ბეჭვდის თავისუფლება, რომ მოურიდებლად სწერენ ყოველნაირ სიცრუეს და ცილისწამებას ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ, იწვევენ ზიზღს და სიძულვილს მის მიმართ, უტეხენ სახელს, უკარგავენ ნდობას, დასცინიან, აშკარად იგდებენ და მოუწოდებენ მკითხველებს სახელმწიფოს წესის, კანონის დასარღვევად.

ყოველს მოქალაქეს ეკუთვნის წმინდა უფლება—ვიტყვით კიდევ მაგალითისთვის—მიმართოს სახელმწიფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს თხოვნით ამა თუ იმ საჭიროებისათვის. ხოლო ეს უფლება სრულებით არავის აძლევს ნებას თუ რისიმე უკმაყოფილოა, გამოვიდეს საწინააღმდეგოთ, საბრძოლველად და სხვებიც გამოიწვიოს ამისათვის. ყველა უკმაყოფილომ რომ იარაღი აიხსას და ძალით მოინდომოს თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, იქ სახელმწიფო ერთ დღესაც ვერ გაძლებდა...

ასეთი გაუგებრობა და უარყოფა სახელმწიფოებრივი შემეცნებისა არა ერთი და ორია ჩვენს ცხოვრებაში, და საყურადღებო აქ იმდენად ის კი არაა, რომ ჩვენს რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს რომლებიც შეგნებულად ცდილობენ მის დანგრევას. მთავარი უბედურება ისაა, რომ ხშირად ჩვენ თვითონ ჩვენს მთავრობას ვერ დაუდევს მტკიცე საზღვარი სახელმწიფოებრივობისა და უნებლიედ ხელს უწყობს სახელმწიფოს დამარღვეველ მოღვაწეობას არა აქვს ნათელი, გარკვეული და გადაჭრილი პოლიტიკა. თვით მის მოქმედებაში ხშირად არაა შეურყეველი რწმენა საკუთარის თავის, საკუთარის სახელმწიფოებრივობისა ან თუ არის ნამდვილად გარედ არა სჩანს როგორც საჭიროა და ეს უნებურად იწვევს გარეშეებში ანარქისტულს სულიერ განწყობილებას, უნდობლობის გრძნობას. ხშირად თვითონ მთავრობა ასე იქცევა, რომ მოქალაქეთა თუ არა მოქალაქეთათვის გა[illegible]ბი არარაა ნებადართული სახელმწიფოებრივის თვალს ზრისით, არა სჩანს სათანადო ფხიზელი მოუდგომელი, მაგრამ მკაცრი თვალი და ხელი, რომელიც ყველას უნდა ეუბნებოდეს, რომ არავის ურჩობა და წინააღმდეგობა არ დარჩება დაუსჯელი.

განა რაც მოხდა უკანასკნელ დღეებში—აი ეს ხიდის აფეთქება, დაშნაკელების გამოლაშქრება—მართალია სრულებით არაჩვეულებრივია ჩვენს ცხოვრებაში და სრულებით მოულოდნელი? არა. ჩვენმა სიმტკიცის უქონლობამ ნიადაგი მოუმზადა და ხელი შეუწყო ყველაფერს ამას. და არა მარტო დაშნაკელები ეპყრობიან ასე უდიერად და უპატივცემლოდ ჩვენს სახელმწიფო აღმშენებლობას: მთელი ტფილისი ბუდეა ათასგვარ პროვოკაციის და შეთქმულობის, მთელი ტფილისი ვულკანია, რომელმაც შეიძლება სულ ადვილად ამოფეთქოს და ერთიან წაგვლეკოს, თუ დროზე არ იქნა მიღებული ზომები—ზომები არა კერძო და საგანგებო რეპრესიებისა, არამედ მტკიცე სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა.

სამ ფირცხალავა.

საქართველოს პარლამენტი

ხუთშაბათი, ნოემბრის 7.

(დასასრული*)

გრ. ვეშაპელი (დამოუკ. ნ.-დ.) სამიწათმოქმედო სამინისტრო არც ერთს შემთხვევას არ უშვებს, რომ თავის ხელში მოაქციოს ყველაფერი. თვით ეს სახელიც მის ხელშია და თქვენ დამე

---

*) იხ. „სახ. საქ.“ № 379.

თანხმებით, თუ რამდენად ეტყობა ამ ხასახლეს სამიწათმოქმედო სამინისტროს ინიციატივა.

მართალი არიან მინისტრი ლასხიშვილი და ს.-ფედერალისტები, როდესაც მოითხოვენ სკოლის ცენტრალიზაციას. რატომ მარტო სამიწათმოქმედო სამინისტრომ უნდა შეინარჩუნოს თავისი სპეციალობა. სად არის აქ საზღვარი? მას აპარატი აქვსო. არსად, პრესაში ან სხვაგან, არ გაგვიგონია, რომ მას სასკოლო საქმეში გადაედგას ნაბიჯი. პირიქით ჩვენ გაგვიგია თუ რამდენად ვერ ადის ის იმ საქმესაც, რომელიც დაკისრებული აქვს (აგრარული რეფორმა, სახაზინო ქონება—მამულები და სხვა) ყოვლად უადგილოა ტრაბახი იმ დროს, როდესაც დანამდვილებით ვიცით, რომ მის უწყებაში გადასული მამულები (კახეთის მამულები, ტყეები) ვერანდება. ეს სამინისტრო თავის პირდაპირ საქმეებს ვერ ადის, და უნდა დაგვარწმუნოს, რომ სასკოლო საქმისათვის მან აპარატი შექმნა წინასწარი. აი ეს, სამინისტრო, რომელმაც დაამტკიცა, რომ მას არავითარი უნარი არა აქვს თავისი პირდაპირი დანიშნულება შეასრულოს, მოითხოვს, მის უწყებაში გადავიდეს მთავარი დარგი განათლებისა. ჩვენ კარგად ვიცით და ეს უეჭვოა, რომ განათლების სამინისტროს უკვე მოწყობილი აქვს აპარატი როგორც ცენტრალური, ისე პროვინციაში და ჩვენ მოვითხოვთ, რომ სამეურნეო სკოლებიც დარჩეს განათლების სამინისტროს ხელში.

ვ. ნუცუბიძე (ს.-ფ.) ბ. ლეო ნათაძე უკიჟინებს არჩილ ჯაჯანაშვილს საგიტაციო სიტყვა წარმოსთქვაო. მართალია მან ცხარე სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ამის მიზეზია უკანასკნელი ხნების პოლიტიკა. ვეთანხმები არ. ჯაჯანაშვილს, რომ მართლა ამ უკანასკნელ ხანებში განათლების სამინისტროს წინააღმდეგ მოქმედებენ.

მე ძალიან ვსწუხვარ, რომ დღევანდელ საკითხის გამო გამოდიან უკიდურესი ნაციონალისტები და გვიკიჟინებენ უწყებები დავობთ და ვერ გაგიყვიათ ერთმანეთს შორისო.

მე შემთხვევითად არ მიმაჩნია, რაც დღეს მოხდა აქ: სასკოლო კომისიის წევრმა დაუკავშირა სამეურნეო სკოლების მიწათმოქმედების სამინისტროს უწყებაში გადასვლა აგრარულ რეფორმას. და მე ვშიშობ არ მოგვიხდეს გამორკვევა იმისა, თუ რა აზრი ჰქონდა ამ გვარ გამოსვლას.

მართლაც, რა კავშირი უნდა ჰქონდეს მომავალ აგრარულ რეფორმას სკოლის საქმესთან? აგრარული რეფორმა სწყვეტს საქმეს მიწისმფლობის შესახებ და მერე კი მიწის სარგებლობის საკითხს აწესრიგებს. მიწისმფლობელობის საკითხი არ არის დაკავშირებული სკოლასთან. მე ვშიშობ, რომ მას კავშირი არ ჰქონდეს აგრარულ რეფორმის მეორე მხარესთან—მიწის სარგებლობასთან.

ისეთი მარტივი საბუთის მოყვანა, ნათაძემ რომ მოიყვანა, შეუძლებელია: განათლების სამინისტროს საქმე ბევრი აქვს, მიწათმოქმედებისას კი ცოტა აქვსო, ასეთი მარტივი არგუმენტის მოყვანა შეუძლებელია სერიოზულ საკითხში. აქ აღნიშნეს, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს ძალიან ბევრი საქმე აქვს დაკისრებული და ამასაც ვერ უვლის, და თვით პ. გელეიშვილმა მოგვახსენა აქ, რა ცუდ მდგომარეობაშია ეს სამინისტრო. ესეც რომ არ იყოს, განა შეიძლება იმიტომ ჩავაბაროთ ვისმეს საქმე, რომ მას სხვა საქმეები არა აქვს?

ჩვენ ვიცით, რომ მიწათმოქმედების სამინისტროს გაცილებით უფრო მეტი საქმე აქვს, ვიდრე განათლებისას და ყველაფერს, რაც კი მიწაზე სდგას, ის თავის ხელში იღებს.

ერთ რამეში მე ვარ დარწმუნებული: მიწათმოქმედების სამინისტრო ვერ გაუძღვება განათლების საქმეს, რადგან თუ სხვა რითიმე არა, ის განათლებით არ არის დატვირთული.

მიწათმოქმედების სამინისტროს საცდელი მინდვრები აქვს და სამეურნეო სკოლების პრაქტიკული მუშაობა აქ ჰხდება, ყოვლად შეუძლებელია ასეთი გათიშვა პრაქტიკულისა და თეორეტიულისა. თანამედროვე პედაგოგიკის თვალსაზრისი მოითხოვს შეკავშირებას ამ ორი ელემენტისა, და თუ საცდელი მინდვრები მიწათმოქმედების სამინისტროს განკარგულებაშია, განა სხვა უწყებას არ შეუძლია ისარგებლოს ამ მინდვრებით? საცდელი მინდვრები ხომ სახელმწიფო ქონებად არის გამოცხადებული და მაშასადამე, განათლების სამინისტროსაც შეუძლია ისარგებლოს მით სამეურნეო სკოლის პრაქტიკული მუშაობისათვის.

მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი**. ბატონებო! ამ საკითხს, რომ სადავოდ გამხდარა, პრიციპიალური ხასიათიც აქვს, მაგრამ ჩვენ ის მხოლოდ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით გადავწყვიტეთ, ჩვენ გვაქვს ისეთი აპარატი, რომელიც სამეურნეო სკოლას გაუძღვება, ხოლო განათლების უწყებას კი აქვს ასეთი აპარატი არ გააჩნია. საცდელი მინდვრები და ქონება, რასაკვირველია საერთოა, და მით შეიძლება სხვა უწყებამაც ისარგებლოს. მას, ამ ქონებას ისეთი სპეციალისტები სჭირდება, რომელიც მხოლოდ მიწათმოქმედების უწყებაშია ურომლოდაც ეს ქონება შეიძლება გაფუჭდეს.

ლ. ნათაძე (ს.-დ.) უპასუხებს ნუცუბიძეს იმაზე თუ რა კავშირი აქვს სამეურნეო სკოლებს აგრარულ რეფორმასთან და ამბობს: „აგრარული რეფორმა გარდა ნუცუბიძის მიერ დასახელებულ ორი მხარისა არის კიდევ მესამე—სახელმწიფოს ეკონომიკის მოწყობა. მრავალი ქონება დარჩა მზა-მზარეული (მაგ საუფლისწულო მამულები), მას მოვლა და გაშენება უნდა როგორ უნდა მოაწყოს სამინისტრომ ეს ეკონომიები, თუ არ ეყოლება საჭირო სამეურნეო განათლებით აღჭურვილი მომუშავენი, ამას გარდა იქნება თუ არა სამეურნეო სკოლები მიწ.-მოქმ. სამინისტროს უწყებაში, მას ის აპარატი, სამეურნეო სკოლას რომ სჭირდება, მაინც უსდა ჰქონდეს, რომ ეს ქონება არ გავერანდეს რაც შეეხება რაღაც ტენდენციებს მიწის სარგებლობისა და სამეურნეო სკოლების ერთმანერთთან დაკავშირებისათვის, უნდა მოგახსენოთ, რომ სასკოლო კომისიას არავითარი ამგვარი ტენდენციები არ ჰქონია.

წინადადება შემოდის კამათი შესწყდეს.

რადგან კამათის გაგრძელების მომხრეა 17 კაცი კამათი გრძელდება

რ. გაბაშვილი (დამოუკ. ნ.-დ.) ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რამდენად მართლდება მიზანშეწონილობის თვალსაზრისი, რომელზედაც მინისტრი ლაპარაკობდა და დასძენს: „თუ კი სამხედრო სკოლა, საზღვაო, რკინის გზის და სხვა შეიძლება გადავსცეთ განათლების უწყებას, რა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით უნდა მოხდეს გამონაკლისი სამეურნეო სკოლისათვის. მომხსენებლის ფანტაზიას უნდა მიეწეროს თითქოს აგრარულ რეფორმასთან ჰქონდეს კავშირი სამეურნეო სკოლას. სწორედ იმიტომ, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარული რეფორმა აქვს განსახორციელებელი და ის ამას ძალიან ცუდად ახორციელებს და მეურნეობას ანგრევს, შეუძლებელია მან შესძლოს სამეურნეო სკოლის აშენება და გაძღოლა. თუ მართალია ბ. მინისტრი რომ სამეურნეო სკოლის ხელმძღვანელებათ საჭირო არიან სპეციალისტები, მაშინ თვით სამინისტროს მეთაურებმა უარი უნდა სთქვან თავის თანამდებობაზე.

რადგან უკვე 3 საათია კამათი სწყდება, და კრებაც იხურება.

პრემიერის განცხადება

ნ. ჟორდანია. მოქალაქენო! მაქვს პატივი გაცნობოთ შემდეგი: თქვენ კარგად იცით, რომ ერთი მინისტრი აქ არ არის და ერთ მინისტრსაც ორი უწყება აბარია. საგარეო საქმეები კი უფრო და უფრო მრავლდება და სრულდება. ამიტომ გადავწყვიტეთ, და მე ვთხოვე ე. გეგეჭკორს, შემოსულიყო, როგორც მინისტრი უპორტფელო და დროებით მმართველი საგარეო საქმეებისა. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი იყოს აქ. ამიტომ გადაწყვეტილია აკ. ჩხენკელი დარჩეს საქართველოს ელჩად ბერლინში და გეგეჭკორს კი მიეცეს საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი.

სამხედრო წესები ტფილისში

ბრძანება № 43

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა ამით აცხადებს:

1. მიუხედავად მილიციის უფროსის ბრძანებისა ტფილისის მცხოვრებთაგან იარაღის სამს დღეში ჩაბარებისათვის, იარაღის ჩაბარება არ მოხდა. ამავე დროს მთავრობაში მოსულ ცნობების თანახმად ქალაქში მთელი საწყობები არსებობს სასროლ იარაღების და ამაფეთქებელ ნივთიერებათა.

2. ქალაქ ტფილისში და მის მიდამოებში სწარმოებს სიტყვიერი და წერილობითი აგიტაცია საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა, მისი მთავრობისა და არსებულ წეს წყობილების წინააღმდეგ.

3. მოხდა აფეთქება სტრატეგიულად ფრიად მნიშვნელოვან ხიდისა და მიღებულ ცნობების თანახმად, არსებობს შეთქმულება, რომელსაც მიზნადა აქვს მნიშვნელოვან სამხედრო მასალათა საწყობებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა განადგურება.

4. მიაჩნია-რა 1, 2 და 3 პუნქტში აღნიშნული, როგორც ბოროტ-მოქმედება ცალკე პირთა და მთელ ჯგუფთა—მიმართული ანარქიის გამოწვევისა, ძმათა სისხლის ღვრის დაწყებისა და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლისათვის შეიარაღებულ უცხო ძალის ჩარევის მიზნით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობა, ქალაქ ტფილისს და მის მიდამოებს **აცხადებს სამხედრო წესებზედ მყოფად.**

გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გენერალი მაზნიაშვილი, რომლის სრულს მორჩილებას და განკარგულებაშიაც გადადის ქალაქ ტფილისის მთელი შეიარაღებული ძალები, როგორც რეგულიარული ნაწილები, სახალხო გვარდია, მილიცია, განსაკუთრებული საგუბერნიო ბატალიონი და ტფილისში მყოფი სხვა ნაწილები. მასვე ემორჩილება რკინის გზის ლიანდაგები და მისი მიდამოები სადგურ ნავთლუღიდან დიდუბის ასაქცევამდე.

ეს ბრძანება ძალაში შედის ნოემბრის 9-ს, 1918 წლის ღამის 12 საათიდან.

ნამდვილზედ ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ნამდვილთან სწორია — პოლკოვნიკი **ჯიჯიხია.**

ზავის გარშემო

მოკავშირეთა საზავო პირობები.

მოსკოვი. 8—11. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. „ვილსონის ნოტა. ლონდონი, 6 ნოემბ. ვილსონმა გერმანიის მთავრობას გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოთა საპასუხო ნოტა. საპასუხო ნოტის შინაარსი შემდეგია: „მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობები დაკვირვებით გაეცნენ შეერთებულ შტატების პრეზიდენტისა და გერმანიის მთავრობის შორის მიწერ-მოწერას. მოკავშირენი სრულ თანხმობას აცხადებენ, შეჰკრან ზავი გერმანიის მთავრობასთან პრეზიდენტის მიერ, როგორც იანვარის 8 კონგრესისადმი წარდგენილ პირობებათა, ისე შემდეგ წამოყენებულ პირობათა თანახმად. მაგრამ მათ მაინც უნდა აღნიშნონ, რომ მეორე მუხლი, რომელიც „ზღვათა თავისუფლებას“ ეხება, სხვა და სხვანაირად არის ახსნილი და განმარტებული და ზოგიერთ მათგანის მიღება შეუძლებელია. ამიტომ ისინი იძულებული არიან საზავო კონფერენციის დროს ამ საკითხზე საკუთარი აზრი და განმარტება იქონიონ. კონგრესისადმი მიმართულ პირობებში პრეზიდენტმა აგრეთვე განაცხადა, რომ დაჭერილი ტერიტორია უნდა გაიწმინდოს და აღდგენილი იქნას. მოკავშირეთა მთავრობანი დარწმუნებული არიან, რომ ამის აღსრულების წინააღმდეგ არ წავლენ. მოკავშირეთ ესმით ეს ისე რომ გერმანიამ უნდა დააკმაყოფილოს მოკავშირეთა ის მცხოვრებნი, რომელნიც დაზარალდნენ ხმელეთზე, საზღვაო და საჰაერო თავდასხმით. დასასრულ ნოტაში ნათქვამია, რომ ვილსონი ეთანხმება განმარტებებს და შეერთებულ შტატების მთავრობამ ნება დართო მარშალ ფოშს მიიღოს გერმანიის მთავრობის რწმუნებულნი, რომ მათ გააცნოს დროებითი ზავის პირობები.

პარიზი. 8—11. მარშალი ფოში ადასტურებს, რომ გერმანიის დელეგაცია ბრძოლის ხაზზე გადმოვა დღეს, საღამოს 10 საათზე გუდრუასთან.

ბერლინი. სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ 1870—71 წლის ჯარისკაცთა კონტიგენტების ნაწილი, რომელიც ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ, სამშობლოში დააბრუნონ დაუყონებლივ.

ბავარიის სამხედრო მინისტრის ბრძანებაში შემდეგია ნათქვამი: „დროებით შერიგების პირობების, (რომელიც შეთანხმების სახელმწიფოებმა ავსტრიას წარუდგინეს), განხორციელების გამო ჩვენს საზღვრებს საფრთხე მოელის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან, ბავარიის ხალხი, რომელმაც ამ ომის განმავლობაში გასაოცარი გამბედაობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა, მტკიცედ შეხვდება ამ საფრთხეს. საფუძველი შეშფოთებისა არ არის. საფრთხის თავიდან ასაცილებლად უკვე მიღებულია ზომები და ხორციელდება კიდეც იგი. ხალხს დაუყოვნებლივ ეცნობება, თუ, მოლოდინის წინააღმდეგ, რაიმე პირდაპირი საფრთხე მოგვევლინება.

პრაღა. ჩეხურ წყაროების ცნობით კრამარჟმა შვეციიდან ცნობა ჩამოიტანა, რომ იქ თანახმა არიან ბოჰემია მთლიანად ჩეხო-სლოვაკების სახელმწიფოში შევიდეს.

უცხოეთი

მოსკოვი ელჩი იოფფე რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლების მთელი შტატით და რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ბერლინის განყოფილების მთელი შემადგენლობით ნოემბერის 6 ს დილა ადრიაად საგანგებო მატარებლით რუსეთს გაემგზავრა. საელჩოს საზღვრამდე მიაცილებს ატაში გრაფი საურმა რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ბიურო ბერლინში [illegible] მისი ქაღალდები დაჰჭდეს და პოლიციის შტაბში გაგზავნეს ნოემბრის 6-ს. შუადღის 2 საათზე შესდგა რეიხსტაგის სოც.-დემ. ფრაქციის სხდომა შინაურ პოლიტიკურ საკითხების გამოსარკვევად. საფრაქციათაშორისო კომიტეტის სხდომა ნოემბრის 7-ს დილით შესდგება.

სოც.-დემ. პარტიის ლიდერებმა ახალი მოწოდებით მიმართეს მუშებს მოწოდებაში ნათქვამია, რომ ზავის მოახლოებასთან ერთად საჭიროა უზრუნველყოფა სურსათით მცხოვრებლებისა და ჯარისა რომელიც მალე სამშობლოში დაბრუნდება. მოწოდება აფრთხილებს მუშებს ძალთა დაყოფისაგან, მუშათა წრეში ურთიერთ შორის უთანხმოებისაგან და უპასუხისმგებლო ელემენტების გავლენისგან.

ბერნის გაზეთების ცნობით სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელ წრეებმა ნაბიჯი გადადგეს პარტიის ორივე ფრთის გასაერთიანებლად.

ხოლნცევო. 8 11. გუშინ ჰროხოროვკაზე გაიარა 46 ვაგონით ავსტრიელთა სამხედრო ტყვეების ეშელონმა. უკრაინამ სამხედრო ტყვეები არ გაატარა. ეშელონი უკანვე გაბრუნდა კურსკში.

პარლამენტის საგანგებო სხდომა

(პარასკევი ნოემბრის 8).

სოციალ-დემოკრატების შეკითხვა.

პარასკევის ჩვეულებრივი სხდომა საგანგებო სხდომად გადაიქცა: არც ერთი საკითხი, დღიურ წესრიგში მოხსენებული, არ იქნა განხილული. პირველ რიგში მოათავსეს ახალი შეკითხვა მთავრობაში, რომელიც სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შემოიტანა.

ეს პირველი შეკითხვაა საქართველოს პარლამენტის ცხოვრებაში, როდესაც სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია შემკითხველის როლში გამოდის და გადაჰქრით სვამს საკითხს საქართველოს მოძულეთა, მისი დამოუკიდებელი არსებობის მტერთა და „ბნელეთის მოციქულთა“ ალაგმისათვის.

ს.-დემოკრატები თავის შეკითხვაში აღნიშნავდნენ, რომ სომხის ერის წარმომადგენელნი (ანუ როგორც შეკითხვებია, „ბნელი ძალები“ და „უპასუხისმგებლო პირები“) ძირს უთხრიან საქართველოს დემოკრატიას და მის არსებობას თავისი საქმით (ხიდის აფეთქებით) თუ სიტყვიერი პროპაგანდით და დასასრულ უმთავრესად, პრესაში საზიზღარი პროვოკაციული გამოსვლით.

„დაშნაკციუთუნის“ ორგანო—„ჰორიზონი“—ბრალს სდებს საქართველოს მთავრობას, რომ ის მასიურ ჟლეტას აწარმოებს სომხის ერისა და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს, რომ თავისი სისხლიანი პოლიტიკით აღგავოს პირისაგან მიწისა სომხის ერი.

ს.-დემ. ფრაქცია ეკითხება მთავრობას, იცის თუ არა მან ყველაფერი ეს და თუ იცის რა ზომებს ხმარობს, რომ ალაგმოს ეს პროვოკატორები.

დასაბუთებულ პასუხს იძლევა მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანია ის ადასტურებს, რომ მთავრობამ იცის ყოველივე მოხსენებული ფაქტი და შეკითხვაში მოხსენებული ცნობების გარდა, ის ასახელებს მრავალ სხვას.

ყველა ფაქტი ნათელ ჰყოფს, რომ ნაცვლად იმ ზრუნვისა, რომელსაც საქართველოს მთავრობა იჩენდა სომხის ერის მიმართ, ნაცვლად იმ დახმარებისა, უბედურ ლტოლვილთ რომ უწევდა, ნაცვლად ყოველივე ამისა სომხის ერის მეთაური „დაშნაკციუთუნი“ს პარტია მაინც განაგრძობს მრავალ-ნაცად, სომხის ერის განმანადგურებელ ავანტიურისტულ პოლიტიკას. იგი მოუწოდებს სომხებს საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებისაკენ, იგი იწვევს სომხის მასას მოძმე ერთან ბრძოლისათვის.

მთავრობამ იცის ყველაფერი ეს და ის ყოველ ღონეს ხმარობს, რომ პროვოკაციის ქსელის გამბელი ორგანიზაციები გაისტუმრონ იქ, სადაც უფრო შესაფერისი ადგილია მათთვის.

ყველა ქართული პარტია, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი, კმაყოფილია მთავრობის თავმჯდომარის განმარტებით, ყველა ფრაქცია თანახმაა იმაში, რომ ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მტრების ასალაგმავად. არც ერთი ფრაქცია არ მოითხოვს იმას, რომ სომხების ავანტიურას ეპასუხოს ავანტიურითვე და ქართველ ხალხშიაც გასწიონ პროპაგანდა სომხების წინააღმდეგ: „სისხლის ღვრით პასუხი შეიძლება გამარჯვებით დამთავრდეს, მაგრამ საბოლოო შედეგად კი მაინც ერის დაუძლურება მოჰყვება“. ამ ფორმულის თანახმაა ყველა; ასეთი იყო მუდამ მეთოდი ქართველი ერისა და ის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

პარლამენტმა მოისმინა ყველას პასუხი—მთავრობისა და ფრაქციათა წარმომადგენლებისა. სდუმან მხოლოდ ისინი, ვისაც შეკითხვა შეეხება, სდუმან დაშნაკელები და დაშნაკური ს.-რევოლიუციონერები.

მათი ორატორები ლაპარაკობენ ლტოლვილთა საკითხზე და ლიტერატურულ ტონზე; ზღაპარს ჰყვებიან იმისთვის, თუ როგორ პირველ წყებაში იქნება მებრძოლი დამცველები, რომ საქართველოს სახელმწიფო ააშენონ და მისი დამოუკიდებლობა განამტკიცონ.

რაც შეეხება „დაშნაკციუთუნის“ პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ისინი ამბობენ, რომ ამ პარტიას არასდროს უღალატნია ერთა სოლიდარობისთვის, დემოკრატიული პრინციპისთვის, რომ ის მუდამ დიდის სიყვარულით იცავდა თავის მასას... და თუ როგორ ზრუნავს ის თავის ერზე, სჩანს პრემიერ-მინისტრის უკანასკნელ განცხადებიდანაც: „დაშნაკციუთუნის“ პარტიამ ხმები გაავრცელა, რომ ოსმალოები ლტოლვილებს უკან უშვებენ თავიანთ სამშობლოში, ხოლო ქართველები მათ აკავებენ და გასავალს არ აძლევენო. შემდეგ თვითონ დაიჯერეს ეს მოლა-ნასრედინივით და ახალციხე-ახალ-ქალაქში მივიდნენ ლტოლვილებთან და უბრძანეს, თქვენ წადით, ოსმალოებმა გზა გახსნესო. პარასკევს საღამოს პრემიერ-მინისტრს დეპეშა მოუვიდა ამ რაიონიდან, საიდანაც სწერენ, რომ სომხის ერის მეთაურთა დაჟინებით გამგზავრებულ ლტოლვილთ ოსმალოები თოფ-ტყვიის მფრქვეველებით შეხვდნენ და საზარელი ბრძოლა გაიმართა მათ შორისო.

ეს არის „დაშნაკციუთუნის“ ბრძოლის პოლიტიკა და ალბად ასეთი პოლიტიკითვე აპირებენ საქართველოსთვის ბრძოლის პირველ რიგში ჩადგომას.

ხ. უ.

კრება იხსნება 12 ს. 25 წ. ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

მდივანი ი. აბაკელია ჰკითხულობს დღიურ წესრიგს, რომელშიაც სხვა საქმეებს შორის ს.-დემოკრ. ფრაქციის მთავრობისადმი შეკითხვაა შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ აგიტაციისა და მოქმედებისა.

შეკითხვის სისწრაფეს იცავს:

შეკითხვა.

ალ. ლომთათიძე. მოქალაქენო! დღის წესრიგში დღეს სხვა საქმეებს შორის არის შეკითხვა, შემოტანილი ს.-დემოკრატების მიერ. ჩვენი ფრაქცია უაღრეს მნიშვნელობას აძლევს ამ შეკითხვას და წინადადებას იძლევა განხილულ იქნას იგი უწინარეს ყველა სხვა საკითხისა.

ჰკითხულობს შეკითხვას:

„ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველო და მისი დემოკრატია თავისი ძალების ანაბარა დარჩა, აგიტაციას ჩვენი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ საზღვარი არ უჩანს. ბნელი ძალები დაძრწიან სოფლად და ქალაქად, მასაში და სიტყვით, საქმით, ხიდების აფეთქებით და სხვა ყოველგვარი საშუალებით მოწადინებული არიან დაამხონ საქართველო, მისი დემოკრატია, მისი დამოუკიდებლობა. მათ მიმართეს ყველაზე უფრო მკვეთრ და ნაცად იარაღს—შუღლის ჩამოგდებას მოძმეებს შორის, სისხლის ღვრის გაჩაღებას მეზობელ ერებს შორის. ერთ ორგანოში („ჰორიზონში") ვკითხულობთ სტატიას, სადაც სწერია: „ენვერ ფაშა სომხების ჟლეტას აწარმოებს ოსმალეთში, ხან-ხოისკი ადერბეიჯანში, ხოლო **ნოე ჟორდანიას მთავრობა საქართველოში ჟლეტს სომხებს.** ახალგაზრდა ოსმალოები, მუსსავათელები და „სოციალისტები" პირშეთქმულნი ანხორციელებენ სომხის ხალხის მშვიდობიანურის თუ ძალადური საშუალებით ამოჟლეტის სისხლიან პოლიტიკას. იღუპება მთელი ხალხი მთელი კაცობრიობის თვალწინ, იღუპებიან ასობით და ათასობით, იღუპება ლტოლვილთა გადარჩენილი ნაწილიც. ჯავახეთის გაქართველებისათვის საჭირო გამხდარა სომეხ ლტოლვილთა გაჟლეტა ბაკურიანისა და წალკის მაღლობებზე და აი ჟლეტენ კიდეც მათ ენვერ თალაათისებურ საშუალებით. ეს ჟლეტა უნდა მოისპოს. სომხეთის მთავრობა, ტფილისის ყველა სომხური ორგანიზაცია და ყველა მოქალაქე—სომხები არავითარ მსხვერპლს არ უნდა დაერიდონ და აიძულონ საქართველოს მთავრობა დაუყონებლივ შესწყვიტოს სომხის ხალხის მშვიდობიანური ჟლეტა".

ასეთია ეს სტატია, თითქმის სავსებით მოყვანილი და აი ჩვენ ვეკითხებით მთავრობას?—

იცის თუ არა მან ყველაფერი ეს.

იცის თუ არა მან, რომ ჰაერში უკვე დგას სუნი ძმათა სისხლის ღვრისა.

ხედავს თუ არა, რომ კავკასიის დემოკრატიისა საერთოდ და კერძოდ საქართველოსა და სომხეთის დემოკრატიის დაუძინებელ მტერთ 1905 წლის საშინელ სისხლის მორევში უნდათ შეაცურონ დღემდე ძმურად მცხოვრები ქართველი და სომეხი ხალხი, გამოიწვიონ წარმოუდგენელი ანარქია დემოკრატიულ საქართველოში, დასცენ მისი დემოკრატიული მთავრობა და ამით ბოლო მოუღონ საქართველოს დამოუკიდებლობის და მის დემოკრატიულ წყობილებას და თავისუფლებას;

და თუ იცის, რა ზომების მიღებას აპირებს ამ სისხლის წვიმების თავიდან ასაცილებლად და ბნელეთის მოციქულთა ასალაგმავად".

შეკითხვა პარლამენტმა ერთხმად მიიჩნია სასწრაფოდ. ხოლო შეკითხვის პირველ რიგში განხილვის შესახებ **რ. გაბაშვილი** (დამოუკ. ნ.-დ.) მოითხოვს შეკითხვა განხილულ იქნეს მაშინ, როდესაც შეიკრიბებიან პარლამენტის დაშნაკელი—წევრები, რომელთაც აგრეთვე უნდა მისცეს პასუხი შეკითხვას.

პარლამენტი ადგენს შეკითხვა პირველ რიგში იქნეს განხილული

სიტყვა ეძლევა პარლამენტის წევრს ალ. ლომთათიძეს.

ალ. ლომთათიძე (ს.-დ.) მოქალაქენო! მართალი მოგახსენოთ ერთგვარი შიშითა და გულის ფანცქალით გამოვდივარ მე დღეს ამ ტრიბუნაზე. ჩვენი ფრაქცია, ჩვენი პარტია დღიდან მოქმედების დაწყებისა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ფარგლებში მუდამ იმისთანა მოქმედებას აწარმოებდა, მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ისეთი სიტყვებიც არ თქმულიყო, რომელიც უთანხმოებას გამოიწვევდა ერებს შორის. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენმა შეკითხვამ ისეთივე ხასიათი მიიღოს, როგორიც თვით შეკითხვაშია.

ფრიად რთულ მდგომარეობას განვიცდით საერთაშორისო სფეროში. მეტად მოწამლულია ჰაერი, მეტად გამწვავებულია ერთა შორის მდგომარეობა. და ჩვენ ვიცით თუ რას ნიშნავს გაუგებრობა თუ ბნელ აგიტაციის ნიადაგზე აგებული პროვოკაცია, რომლის მოწმენი ვართ ჩვენ აქ, საქართველოს მიწა-წყალზე, ტფილისის ტერიტორიაზე, 1905 წელს. ჩვენ ეს ვიცით და მით დიდია სურვილი, რომ დაკვირვებით შეუდგეთ ყოველი გაუგებრობის გამორკვევას.

ძლივს ცის ტატნობზე გამოჩნდა მერცხალი სასიხარულო ამბების მომტანი და იმედი მოგვცა, რომ დიდი ხნის ნანატრი ზავი მოგვიახლოვდება. მაგრამ თუ ასეთი იმედები გვაქვს ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობაში, ამას ვერ ვიტყვით ჩვენს მშობლიურ ნიადაგზე, თუ გავაშუქებთ იმას, თუ რა ხდება დღეს საქართველოს ტერიტორიაზე.

ფართო მასას ხალხისა არასოდეს არ ნდომია, რომ მეორე ხალხს შეესიოს, გაჟლიტოს, ნაცარტუტად აქციოს. დღევანდელ მდგომარეობას თუ გავაშუქებთ დავინახავთ, რომ ზავის შუქს დიდი მომავალი აქვს. ჩვენ ვიცით კერძოდ, რომ სომხის არარატის რესპუბლიკის მცხოვრებნი დიდი მოსურნე არიან მშვიდობიანობის. ესევე არ ითქმის ზოგიერთ პოლიტიკურ ჯგუფსა და უპასუხისმგებლო პირებზე არა ერთხელ გვსმენია, რომ საქართველოს რესპუბლიკის და ქართველი ხალხის ბრწყინვალე მომავალი ყველასათვის, ვინც კი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს საკეთილოა და საბედნიეროა და ამ ბედნიერების განმტკიცებაში ყველამ უნდა დასდვას თავი. არა ერთხელ გვსმენია ჩვენ ასეთი სიტყვები, მაგრამ ისეთი ფაქტებიც გვინახავს, რომელიც ეწინააღმდეგება ასეთ სიტყვებში ჩამოსხმულ სილამაზეს.

ბნელი ძალები, რომელთაც ვერ მოუნელებიათ, რომ ჩვენი პატარა კუთხე გადარჩა წარღვნას, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ მოსპონ საქართველოს დამოუკიდებლობა, ხელი შეუშალონ საქართველოს სააღმშენებლო მუშაობაში და დაამხონ დემოკრატიული რესპუბლიკა. იმ მიზნით, რომ საქართველოს დემოკრატია ორ ნაწილად გაჰყონ, და არევ-დარევა გამოიწვიონ, ფართო სარბიელი მისცენ ბნელ ძალებს, სოფლებში რომ დაძრწიან, და ანარქიის მორევში თვისი ბნელი საქმეები აკეთონ,—აი ამ მიზნით მოიწადინეს აფეთქება ქსანს და მცხეთის შუა მდებარე ხიდისა. მოიპოვებიან ისეთი პირებიც, რომელნიც აშკარად ამბობენ: „რა არის ქსნის ხიდის აფეთქება, დაიცადეთ და მაგაზე უარესს დაგანახვებთო". ჩვენ ვიცით, რომ გაბმულია მჭიდრო კავშირი კონტრ-რევოლიუციონურ საშინელების მომავლინებელთა შორის, რომელთაგან ერთნი სოჭისა და მის იქითა მხარეში არიან, ხოლო მეორენი აქ, ჩვენს მიწა-წყალზე და თუ ჩვენმა მთავრობამ ვერ შესძლო ზომების მიღება და კონტრ-რევოლიუციონური ძალა შემოიჰრა, აქ მყოფი კონტრ-რევოლიუციონერები აღსდგებიან და დაამხობენ საქართველოს.

ამით არ ამოიწურება მოქმედება ბნელი ძალებისა. მათ არ იკმარეს მოქმედება, არ იკმარეს სიტყვები—აგიტაციას ისინი არ ერიდებიან ისეთ ზომებს, რომელიც გაკვირვებას იწვევს. ვისთან გვაქვს აქ საქმე: ისეთ ხალხთან, რომელსაც შეიძლება პასუხისგება მოსთხოვო, თუ უპასუხისმგებლო პროვოკატორებთან.

იმ საშინელებასთან ერთად, რომელიც ოსმალეთის მხრით დაატყდა თავს ჩვენს პატარა ქვეყანას, კიდევ მეორე საშინელება მოევლინა ლტოლვილების სახით. ამ ომის დროს ჩვენს ქვეყანაში 300—400 ათასი იყო ლტოლვილი სხვა და სხვა ეროვნებისა და სქესისა. ჩვენი ქვეყანა უვლიდა და პატრონობდა ყველა ამ უბედურებაში ჩავარდნილ ლტოლვილს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მთავრობა უვლიდა, ჩვენ გვესმის აღვირ ახსნილი აგიტაცია ამ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული. მე ვაცხადებ, რომ მიუდგომელი პოლიტიკური მოღვაწე ანგარიშს უნდა უწევდეს ამას და მას სხვა რისამე თქმა არ შეუძლია: საჭიროა ზომები, საჭიროა მეტი ზომები. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენს დედა-ქალაქში გამოდის გაზეთი, რომელიც ამბობს: როდის მოეღება ბოლო სომხების ჟლეტასო. განა შეიძლება დაუსაბუთებლად პრესის წარმომადგენელმა, კერძო პირმა თუ ჯგუფმა სთქვას ასე აშკარად, რომ „ენვერი ჟლეტს სომხებს ოსმალეთში, ხან-ხოისკი ადერბეიჯანში და ნოე ჟორდანიას მთავრობა კი საქართველოშიო". მე არ ვეხები აქ ენვერ-ფაშას პოლიტიკას (ეს სისხლით გაჟღენთილი პოლიტიკა იყო), არ ვეხები ხან-ხოისკის პოლიტიკასაც, სისხლის მორევით. რომ მოჰფინა ბაქო; მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, დასაშვებია ეს, როდესაც ასე აშკარად ამბობენ, რომ ქართველი დემოკრატიის ბელადი, ქართველი ერის მოჭირნახულე ნოე ჟორდანია ენვერსავით ჟლეტს სომხებსო.

„ახალგაზრდა ოსმალოები, მუსსავათელები და სოციალისტები აწარმოებენ ამოჟლეტის სისხლიან პოლიტიკასა". განა შეიძლება ეს სიტყვები წაიკითხო და სისხლი არ აგივარდეს თავში; განა შეიძლება ამან ზიზღი არ გამოიწვიოს დემოკრატიის ნამდვილ შემატკივარში!

„სომხის ერს ჟლეტენ საქართველოშიო".

მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ამას ამბობს ის ჯგუფი, რომელიც ითვისებს მთელი სომხის ერის სახელს და რომელსაც საერთო არაფერი აქვს სომხის ერთან, სომხის დემოკრატიასთან. სომხის ერს ჩვენთან ძმური განწყობილება აქვს და თუ ჰსურთ მაინც ეს ორი ერი იარაღით ხელში ერთმანეთს შეატაკონ, ეს არის მხოლოდ ერთი ჯგუფის, დაშნაკციუთუნის პარტიის ოინები.

„წალკითან ჟლეტენ ხალხს ენვერ-თალაათისებურ საშუალებებით".

უნდათ რომ ძალად მოახვიონ ჩვენს მთავრობას ის, რაშიც არავითარი წილი არ მიუძღვის მას. ამას სხვა სახელი არ ეწოდება გარდა აღვირახსნილ პროვოკაციისა (ტაში).

„ეს გაჟლეტა—მოუწოდებს გაზეთი—შეწყვეტილი უნდა იქმნას. სომხის მთავრობა, ტფილისის ყველა სომხური ორგანიზაცია არავითარ მსხვერპლს არ უნდა დაერიდოს, რომ მოსპოს ეს ჟლეტაო".

თუ ეს გაზეთი ეკუთვნის სოციალისტურ მიმართულებას, თუ ის არის ორგანო რევოლიუციონერებისა, თუ ის დემოკრატიულ პარტიის ორგანოა მე ვეკითხები მათ, მიმართეს თუ არა მათ ქართველ დემოკრატიას და მასთან მოლაპარაკებით გამოარკვიეს საქმის ვითარება.

მოქალაქენო! აი, ასეთი არის მდგომარეობა და როდესაც ჩვენ—ვინ იცის—დღეს ან ხვალ შეიძლება მოგვიხდეს ბრძოლა სანაინთან, აქ ასეთი სტატიებით გვიმასპინძლდებიან.

შეიძლება ჩვენ მთავრობას მართლა მიუძღვის რაიმე დანაშაული. ჩვენ ველით, რომ აქ მთავრობა გვეტყვის, მართალია ეს ყველაფერი თუ არა. ჩვენ მოველით, რომ გვიპასუხებენ: იცის თუ არა მთავრობამ ყველაფერი ეს და თუ იცის რა ზომებს ღებულობს ამ ბნელი ძალების ასალაგმად (ძლიერი ტაში).

მთავრობის პასუხი.

მინისტრ-თავმჯდომარე ნოე ჟორდანია (მთელი დარბაზი შეხვდება პრემიერს განუწყვეტელი ტაშის ცემით) მოქალაქენო! ვინაიდან შეკითხვა ეხება ფრიად სერიოზულ საკითხს და ვინაიდან ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობა, რომ ამ კითხვის გამო არის დიდი მითქმა-მოთქმა და ჩვენ ვდგევართ ანარქიის წინაშე, მთავრობამ არ ისარგებლა შემთხვევით, რომ ერთი კვირის განმავლობაში შეეძლო ეპასუხნა, და დღესვე გასცემს პასუხს.

აქ ითქვა, რომ უკანასკნელ დღეებში პრესაში დიდი აგიტაცია არის ერთა შორის შუღლის ჩამოგდებისათვის. სამწუხაროდ უნდა ვსთქვა. რომ ეს ასე არის ამ 4-5 დღის განმავლობაში. მე არ ვიცი, რა შეიცვალა ამ დღეებში, რომ მას სომხების ლოიალობის შეცვლაც მოჰყვა. რა მოხდა იმ პარტიის ორგანოში „ჰორიზონში", რომელსაც მისდევს დიდ ძალი ხალხი?

როდესაც აქ, პარლამენტში შემოვიდნენ ნაციონალ უმცირესობათა წარმომადგენელნი, მათგან გავიგონეთ მშვენიერი სიტყვები, რომ ჰსურთ ჩვენთან ერთად მუშაობა სახელმწიფოს აღშენებისათვის მე მწამს, რომ ეს განცხადება გულწრფელი იყო. მე მგონია, ის პირები, აქ რომ სხედან, არ იზიარებენ ხსენებულ ორგანოს აზრებს.

მე არ მივაქცევდი კიდევ დიდ ყურადღებას, რაც იწერება გაზეთში, რომ არ მქონდეს სხვა საბუთებიც. ნოემბრის 6-ს, სწორედ იმ დღეს, როდესაც „ჰორიზონში" აქ მოყვანილი სტატია იყო მოთავსებული (მე სომხური არ ვიცი და ეს არ ვიცოდი), ჩემთან გამოცხადდა მრავალ რიცხოვანი დელეგაცია „დაშნაკციუთუნის" პარტიისა. უნდა გითხრათ, ხშირად მოდიან ჩემთან დელეგაციები, მაგრამ ეს დელეგაცია სულ სხვა ელფერის იყო, ის თავისი რიხით, თავისი სიტყიერებით მაგონებდა იმ დელეგაციას, რომელსაც ჩვენ ეშელონები გვიგზავნიდნენ. მე მგონია, რომ მათ ნახტომი შეეშალათ. ეშელონები ჩავატარეთ და ვფიქრობ, უფრო ადვილია ამ დელეგაციის ჩატარება.

ამ დელეგაციაში მხოლოდ ერთ წევრს ვიცნობ. ეს არის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი იავჯიანი. მან აიღო სიტყვა დელეგაციის სახელით და მითხრა: მე ამათ წამოვყევი, რომ თავიდან ავიცილოთ უფრო დიდი უბედურება. სომხის ხალხში დიდი აღელვებაა; რომ გამოსვლა არ მოხდეს, მე მინდა გავიგონო პასუხები იმ კითხვებზე, რომელთათვისაც დელეგაცია მოვიდა.

მე სრულებით არ ვიცოდი, რომ ამ დღის ნომერში ეწერა ის, რაც დღეს მოვისმინეთ.

იავჯიანმა მითხრა: ოსმალოები უშვებენ სომეხ ლტოლვილებს თავის სამშობლოში და თქვენ მათ წასვლის ნებას არ აძლევთო. მეორე ბრალდებაც წამოაყენა დელეგაციამ: თქვენი ჯარები წალკისზე რომ არის ლტოლვილთა პურით იკვებებაო. დასასრულ, ბაკურიანში უდანაშაულო ექიმები ხარჩიკიანი და მალაიანი შეიპყრეს და ტფილისში გამოგზავნეს დატუსაღებულნიო.

მე აქ არ გეტყვით, თუ იმათ რა უთხარი; მაგრამ ძალიან დამამწუხრა განსაკუთრებით პირველმა ბრალდებამ. მართალი გითხრათ, ისე რიხიანად ამბობდნენ ამას, რომ ეჭვი შემეპარა: მთავრობას ასეთი ბრძანება არ გაუცია—ლტოლვილებს თავის სამშობლოში ნუ გაუშვებთო—მაგრამ ვიფიქრე შეიძლება რომელიმე გენერალმა რაიმე მაგვარი ჩაიდინა. დელეგაცია რომ გავისტუმრე, წაველი სამხედრო მინისტრთან და შევეკითხე, მართლა იყო ასეთი ბრძანება გაცემული თუ არა. პირიქით, ასეთი ბრძანება შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მალე განვთავისუფლდეთ ლტოლვილებისაგან და გავისტუმროთ იგინი თავის სამშობლოში.

ჩვენ წავედით აპარატზე და გამოვიწვიეთ მაყაშვილი, რომელიც ახალციხე ახალქალაქის რაიონის ჯარის სარდლად არის დანიშნული. ჩვენ განზრახ დავნიშნეთ მაყაშვილი იქ, რადგან მისი სინდისიერი და კეთილშობილური მოქმედება ყველასათვის ცნობილია. არა ერთი სომეხი და თათარი გადაარჩინა მან ჟლეტას

შევეკითხე მას ყველაფერი და გამოირკვა, რომ ლტოლვილებს არ უშვებენ ოსმალოები, თუ მისიისაგან ნებართვა არა აქვსთ.

ბაკურიანშიაც არავითარი რეკვიზიცია არ მოუხდენიათ პურისა. ხოლო ექიმები ხარჩიკიანი და მალაიანი დატუსაღებულნი არიან, როგორც ისეთი პირები, რომელნიც საქართველოს წინააღმდეგ აჯანყებდნენ მცხოვრებლებს. „ეხლა—მიპასუხა გენ. მაყაშვილმა—მე მომივიდა ერთი სოფლის საზოგადოების თხოვნა, რომ გაძევებულ იქმნას იქიდან მღვდელი ოჰანეზ არამიანცი, რომელიც საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ ეწეოდა აგიტაციას. მე უბრძანე შეიპყრონ იგი სომხებს შორის საშინელ პროპაგანდას ეწევიან და თვით მცხოვრებლები იმედარებიან, მოაგვიშორეთ თავიდან ეს ჩვენი დამღუპველებიო".

მე შევეკითხე გენ. მაყაშვილს მეორეჯერ ოსმალოები უშვებენ ლტოლვილებს და თქვენ აკავებთ თუ არაო. „მტკნარი სიცრუეაო" მიპასუხეს იქიდან.

ყველამ კარგად იცის, რომ ლტოლვილები ვერ მიდიან, რადგან ოსმალოები არ უშვებენ მათ. ეს მათ იციან, მაგრამ განზრახ შეაბრუნეს უკუღმა, რომ პროვოკაცია გასწიონ.

მიაქციეთ ყურადღება, რომ პროპაგანდას ეწევიან, რომ ქართველები არ შევიდნენ არც ახალციხის, არც ახალქალაქის მაზრებში. მეთაურების მავნე მსჯელობას ხალხის საღი ინსტინქტი ვერ ეგუება და ისინი თხოულობენ მოვაშოროთ მათ ეს პროპაგანდისტები. დელეგაციაში ერთი მუშა ერია, რომელმაც მითხრა (ქართულად), მე ვარ გორის მაზრიდან, არავის გაუგონია მთელს მაზრაში, რომ სომხები ყოფილიყვნენ ქართველების წინააღმდეგი და აი ეხლა ამბობენ—პროპაგანდა არის გორის მაზრაშიო. მუშა მთხოვდა, ნუ მისცემთ მიზეზს ასეთ ლაპარაკისათვისო. მას ლტოლვილების შეჩერება ჩვენ მიერ მართალი ეგონა.

ეხლა მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განვმარტოთ როგორ არის ლტოლვილთა საკითხი.

ლტოლვილთა საკითხს ამიერ კავკასიაში აწარმოებდა ერთი ორგანიზაცია „კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა მომწყობი კომიტეტი". აქ შედიოდნენ ლტოლვილთა ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები, მაისის 26 შემდეგ ეს საქმე მაინც დარჩა იმ ორგანიზაციის ხელში. კომიტეტს სეიმმა მისცა 15 მილიონი მანეთი, რომელი თანხიდანაც სომეხ ლტოლვილთა საბჭომ მიიღო 10 მილიონი 252 მან. არ არის გამოარკვეული თუ რამდენი იყო ლტოლვილი მის განკარგულებაში სულ კი გაიარა 300—400 ათას ლტოლვილმა. საქართველოს საზღვრებში იმყოფება 150,000 ლტოლვილი ამაში სომეხია 110—120 ათასი. ეს ლტოლვილები ორი გზით მოდიოდნენ: 1) ახალციხე-ახალქალაქიდან და 2) ოსმალეთიდან და ერევნის გუბერნიიდან. ამათში იყვნენ ყველა ერის ლტოლვილები. ჩვენ არასოდეს არავითარი განსხვავება არ გაგვიტარებია მათ შორის. ჩვენთვის სულ ერთი იყო რომელ ეროვნებას ეკუთვნოდა ლტოლვილი, ყველას ერთნაირად უწევდით დახმარებას, ტფილისში 40,000 ლტოლვილი იმყოფებოდა, რომელიც მე 300 ვერსზე იყო გაყვანილი, სადაც მშვენიერი ბინა ჰქონდათ, ჰაერი, წყალი და სხვა ხელსაყრელი პირობები. ამ 40 ათასში იქ არის ეხლა მხოლოდ 6000 სად წავიდნენ სხვები? ურაპატრიოტებს რომ ჰკითხოთ, დაიხოცნენო. ჩვენ კი ვიცით, რომ ისინი გაითქვიფნენ ტფილისსა და სხვა ქალაქებში.

ბაკურიანისაკენ 90 ათასამდე ლტოლვილი იქნებოდა, ეხლა კი მხოლოდ 2000 დარჩა; დანარჩენები კი ჩვენს ტერიტორიაზე არიან გაფანტული. ჩვენ მათ დაბრკოლებას არ ულობავდით და მათ თავისუფლად შეეძლოთ დაბინავებულიყვნენ და მოწყობილიყვნენ. ხოლო მათ მასიური გადასახლება კი შეუძლებელი იყო. რადგან ამას სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევდა თვით გლეხობა, რომელიც მტრულად უყურებს ყველას, ვინც სოფლებში შეეხიზნება, სულ ერთია ვინც უნდა იყოს ის,—სომეხი, ქართველი თუ სხვა. ინდივიდუალურ გადასახლებას და დაბინავებას კი ჩვენ, რასაკვირველია, არ ვეწინააღმდეგებით.

ჩვენ შეუდექით მისიასთან მოლაპარაკებას. აქ მაქვს ნოტები, რომელსაც ოსმალეთის მისიას უგზავნიდით და მისგან მომდიოდა (აქ პრემიერ-მინისტრი ჰკითხულობს ნოტებს, რომელიც გაუგზავნა აბდულ ქიარიმ ფაშას, ესად ფაშას და სხვებს). ბერლინშიაც ვსთხოვეთ ჩხენკელს, რომ ეშუამდგომლა იქ, რათა ოსმალეთს მიეღო უკან ლტოლვილები. აბდულ-ქიარიმისაგან ოქტომბრის 26-ს მივიღეთ დეპეშა, სადაც წინადადებას გვაძლევდა რომ ლტოლვილთა გადასახლების საქმეებისათვის კომისია შემდგარიყო, ეს კომისია შესდგა და დღესაც მუშაობს.

ოქტომბრის 2-ს ჯამალიანს გაუგზავნეთ ნოტა და ვსთხოვეთ: ერთი მესამედი ლტოლვილებისა თქვენს—არარატის რესპუბლიკის—ტერიტორიაზე გადაიყვანეთ, მეორე მესამედი შეიძლება არმავირში მოვახერხოთ და დავასახლოთ და მესამე მესამედს კი ჩვენ ტერიტორიაზე დავტოვებთთქო მან გვიპასუხა, რომ შუამდგომლობა გვაქვს აღძრული ოსმალეთის წინაშე და ჯერ-ჯერობით ლტოლვილების გადმოყვანა არ შეგვიძლიანო,

აი ასე ვზრუნავდით ჩვენ ლტოლვილებზე და ყველა ამის მაგივრად ჩვენ მივიღეთ ის პროპაგანდა, რომელიც სწარმოებს სოფლებში, და ის წერილები, მათ გაზეთებში რომ იბეჭდება.

რა ზომებს ღებულობს მთავრობა? მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ამას ბოლო მოუღოს და ყოველი ზომა მიიღოს, რომ მოუსპოს ამ პროვოკატორებს საშუალება ეროვნული შუღლის გაღვივებისა (ტაში).

თვით ის ორგანიზაციები, რომელნიც ამას სჩადიან იძულებული იქნებიან თავისი ბარგი-ბარხანით წავიდნენ იქ, სადაც მათი ადგილი უფრო არის (ძლიერი ტაში).

ბ პრემიერის შემდეგ ლაპარაკობენ ფრაქციათა წარმომადგენელნი: **შ ქარუმიძე** (დამოუკ. ნ.-დ), **ბარხუდაროვი** (სომხის სახ. პარტია), **ზორიანი** (დაშნაკ.) **ივ. გომართელი** („ალიონელი"), **არ. ჯაჯანაშვილი** (ს-ფედ.), **ივ. გობეჩია** (ს.-რევ.), **გ. ქქოძე** (ნ.-დ.).

ნაშუადღევის 4 საათზე კრება სწყდება და გაგრძელება ინიშნება საღამოს 8 საათისთვის.

საღამოს სხდომაზე განაგრძობენ ლაპარაკს ფრაქციათა წარმომადგენელნი: **სპ. კედია** (ნ-დ.), **რ. გაბაშვილი** (დამოუკ ნ-დ.), **თარხანოვი** (სომხის დაშნაკური ს.-რევ.), **ავეტისიანცი** (დაშნაკ), **ირ. წერეთელი** (ს-დ), **ფარნიევი** (ს-დ) და **მიკირტუმ ვი** (ს. დ.). ფრაქციათა წარმომადგენლებს ორჯერ გასცა პასუხი ბ ნმა პრემიერ მინისტრმა.

ფრაქციათა წარმომადგენლებისა და ბ თავმჯდომარის საპასუხო სიტყვებს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

ღამის 11 საათზე კამათი სწყდება.

ს.-დემოკრატიულ ფრაქციას შემოაქვს შემდეგი გადასასვლელი ფორმულა, რომელსაც ხმას აძლევს ყველა გარდა სომხების წარმომადგენლებისა, რომელნიც აცხადებენ, რომ ისინი თავს იკავებენ კენჭის ყრის დროს.

ფორმულა.

„მოისმინა რა შეკითხვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა შესახებ ტფილისის ზოგიერთ სომხურ გაზეთში გაჩაღებულ აგიტაციისა და მთავრობის განმარტება ამ შეკითხვაზე, პარლამენტი აღნიშნავს; რომ ასეთი სრულიად ყალბ ცნობებზე დაყრდნობილი აგიტაცია მიზნად ისახავს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დემოკრატიულ წყობილებას სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდება ამ საფრთხეს და მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლება იმათ, ვინც ორ მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამომწვევ პოლიტიკას აწარმოებს; სრულს ნდობას უცხადებს მთავრობას, აღუთქვამს მას თავის დახმარებას და გადადის მორიგ საკითხზე.

ამასთანავე იმ საშინელი ჭორებისა და ცილის წამების გასაფანტავად, რომელსაც ავრცელებენ საქართველოს მცხოვრებთა ფართო მასაში ამა საქმის გარშემო და სიმართლის აღსადგენად, პარლამენტი ადგენს: მთავრობის თავმჯდომარის მიერ ზემოხსენებულ შეკითხვის საპასუხოდ წარმოთქმული დასაბუთებული განმარტებანი დაუყონებლივ დაიბეჭდოს ქართულ, სომხურ, რუსულ და თათრულ ენებზე და გაკრულ იქნას ტფილისსა და საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და დაბასოფლებში".

ახალი ამბავი

◆ **სამხედრო წესები ტფილისში.** საქართველოს მთავრობამ ქალაქი ტფილისი და მისი მიდამოები გამოაცხადა სამხედრო წესზე მყოფად.

◆ **საქართველოს მთავრობის მიმართვა.** საქართველოს მთავრობამ მიჰმართა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მცხოვრებთ, სადაც ნათქვამია. რომ სხვა და სხვა გარეშე მიზეზთა წყალობით მთავრობას საშუალება არა ჰქონდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრათა მცხოვრებლების ცხოვრების მოწყობისა და მათთვის მზრუნველობისათვის. ხოლო ეხლა, როდესაც

ოსმალეთს თავისი ჯარები გაჰყავს და საქართველოს უბრუნებს სამშობლოს მოგლეჯილ კუთხეს, საქართველოს მთავრობა შედის ამ მაზრებში მშვიდობისა და წესის დასამყარებლად და აწიოკებულ მცხოვრებთა ცხოვრების მოსაწყობად. ამავე დროს ზოგიერთი ბოროტი პირები ახალციხის და ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა შორის ყალბ ხმებს ავრცელებს და აშინებთ მათ თითქოს აქაურ მუსულმანებს საქართველო სასტიკ სამაგიეროს მიუზღავს. მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ პროვოკაციას ყურს არავინ დაუგდებს და მცხოვრებნი ნდობით შეხვდებიან მას და ხელს შეუწყობენ მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარებაში. საქართველოს მათთან მიაქვს თავისი კაცთ-მოყვარეობა და წრფელი სურვილები თანაბრად ყველა ეროვნების მოსახლეთათვის.

◆ **ლექცია.** დღეს ესიკოვსკის ცირკში მ. ცხაკაია (ბოლშევიკი) წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: რუსეთის რევოლიუცია დღევანდლამდე. კამათში მონაწილეობას მიიღებენ სხვა პარტიათა წარმომადგენლებიც.

◆ **წარმოდგენა.** დღეს—დემოკრატიულ კლუბში მუშტაიდში, წარმოდგენების მართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „სიკვდილით დასჯა“ და „მათიკო“.

◆ **დელეგაცია.** გუშინ ბაქოში გაემგზავრა რუსთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია, რომელშიაც შედიან სტრელკოვსკი, კუტუკოვი და ბარსოვი. დელეგაციას დავალებული აქვს ადერბეიჯანში მოაგვაროს ნავთისა და საბჭოს სხვა საქმეების მოგვარება.

◆ **ძეგვის ხიდი.** გუშინ, ნოემბრის 9-ს ძეგვის დაზიანებულ ხიდის დასათვალიერებლად ტფილისიდან ქსანს გაემგზავრნენ გზათა მინისტრი ლორთქიფანიძე, ტფილისის გენერალ გუბერნატორი მაზნიაშვილი და რკინის გზათა საერთო საქმის მმართველი ფიცხელაური. ხიდი უკვე მზად არის და პირველი სამგზავრო მატარებელი გაივლის ხვალ, ხოლო წესიერი მიმოსვლა ნოემბრის 12-დან დაიწყება. ხიდს მომავალში არავითარი შიში მოელის.

◆ **ბათომში,** ბათომიდან ჩამოსულის სიტყვით ოსმალებმა ზოგიერთი ფორტიდან მოჰხსნეს იარაღი და ზარბაზნები ნავთსადგურში შეზიდეს ოსმალეთში წასაღებად. ბათომიდან ოსმალთა ჯარი წავიდა. დარჩა მხოლოდ მცირე ნაწილი ქალაქის დასაცველად. ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგა, სანოვაგე თვალსაჩინოდ გაიაფდა. მცხოვრებნი სიხარულით უცდიან ოსმალოს წასვლას.

◆ **მისია ბაქოში.** ნოემბრის 8 ს ტფილისიდან ბაქოში ჩქარი მატარებლით გაემგზავრა საქართველოს დიპლომატიური მისია.

◆ **ქართველები ბაქოში.** გზათა მინისტრს ბაქოდან ატყობინებენ, რომ საქართველოსაკენ წამოსასვლელად მზად არის ქართველთა მეორე ჯგუფი, რიცხვით 300 კაცი. მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობას ვაგონები არა აქვს მათ გამოსაგზავნად. გზათა მინისტრს სთხოვენ გაიგზავნოს მათთვის 80 ცარიელი ვაგონი.

◆ **სტუდენტები გერმანიაში.** გერმანიის საიმპერატორო დელეგაციის წარმომადგენელმა აცნობა სომხეთა რწმუნებულს ჯამალიანს: პრუსიის სამეფოს განათლების სამინისტრომ თანხმობა განაცხადა, რომ გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში გაიგზავნონ საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის რესპუბლიკის სტუდენტები. ამის შესაფერ ნებართვის მიცემა ყოველთვის შეიძლება სტუდენტთა საგანათლებო ცენზის შემოწმების შემდეგ.

◆ **† ამხ. ალ. მიქელაძე.** გარდაიცვალა ჩვენი პარტიული ამხანაგი და დაუღალავი მუშაკი ამხ. ალექსანდრე მიქელაძე. განსვენებულმა ათი წელიწადი პოლიტიკურ საქმისთვის კატორღაში გაატარა და თავისუფლების შემდეგ უკანასკნელ ხნობამდე პარტიულ მუშაობას ეწეოდა.

◆ **საეპიდემიო ფონდი.** ქალაქის გამგეობასთან არსებულ საეპიდემიო ფონდისათვის გაწერილ გადასახადიდან დღევანდლამდე შემოსულა 400,000 მანეთი. ნავარაუდევია, რომ ამ თანხისათვის შემოვა ერთი მილიონი მანეთი.

◆ **ქურდობა.** ნოემბრის 7-ს, ღამით კიროჩნის ქუჩაზე გასტეხეს კურბატოვის დუქანი და მოიპარეს 7,000 მანეთი ფულად.

◆ **სახანიტარო მდგომარეობა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ანტისანიტრულ მდგომარეობის გამო დაიკეტოს პუშკინის ქუჩაზე სარქისიანცის ძეხვის დუქანი და პატრონი სამართალში მიეცეს.

◆ **ქურდების შეპყრობა.** მილიციის უფროსმა დაატუსაღა რამოდენიმე ქურდი, რომელთაც ამ დღეებში სასახლის ქუჩაზე გასტეხეს „ლოტ“-ის საკანდიტერო და მოიპარეს მრავალი ძვირფასი ნივთები.

◆ **კავშირის დაარსება.** კახეთის რკინის გზის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუგზავნა რაიონის კომიტეტებს დეპეშა რომ ნოემბრის 21-ს ნავთლუღში დანიშნულია მოსამსახურეთა საერთო კრება საპროფესიო კავშირის დასაარსებლად.

◆ **ქართული სამუსიკო საზოგადოება.** ნოემბრის 28 მართავს მეორე კამერულ კონცერტს, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ: ბ.ბ. ჩერეპნინი, ზენდიცკი (როიალი), ზალიბსკი (ჩიმლერა) და ქართული სამუსიკო სკოლის კვარტეტი.

◆ **წ. კ. ს. კრება.** დღეს, კვირას, 10 ნოემბერს, დილის 12 საათზე ეროვნული საბჭოს ყოფილ ბინაზე (ფრეილის ქუჩა № 11) დანიშნულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე შესასვლელი ბილეთები ქ. შ. წ. კ. გ. საზ. კანცელარიაში დილის 10—11 ნახ. საათამდე ხმის უფლება კრებაზე აქვსთ მხოლოდ რწმუნებულებს.

◆ **სახელმ. დაწესებულებებში მოსამსახურეთა** კრება გაიმართება დღეს დილის 10 საათზე ახალ კლუბში.

◆ **ქართველ ინჟინერთა და ტეხნიკოსთა** ამხანაგობამ მიიღო წინადადება კარალეთ-თორტიზის შემნახველ-გამსესხებელ საზოგადოებიდან გორის ახლო ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მოწყობის შესახებ. ამხანაგობამ წინადადება მიიღო.

◆ **ქართულ [illegible] საზოგადოებამ** გადასწყვიტა სასწრაფოდ შეადგინოს და გამოუშვას „დებულებანი სანიმუშო ანგარიშისა“ (урочное положеніе). საჭირო მუშაობას უკვე შეუდგნენ.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ამხ. იოს. ბარათაშვილის მოხსენება.

ოთხშაბათს, ნოემბრის 6-ს, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარ კლუბში პარლამენტის და მთავარ კომიტეტის წევრმა ამხ. იოსებ ბარათაშვილმა წაიკითხა მოხსენება: პარლამენტი და საქართველოს სახელმწიფო. მომხსენებელი შეეხო პარლამენტის მნიშვნელობას, სახელმწიფოთა და განსაკუთრებით რესპუბლიკათა სხვა და სხვა ფორმას. აღნიშნა აგრეთვე დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა და საჭიროება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება-გამაგრებისა.

მომხსენებლის შემდეგ ამხ. ქრისტ. რაჭველიშვილი შეეხო ნ. ჟორდანიას წიგნაკს ამავე საკითხთა შესახებ და გააშუქა მოკლედ ჩვენი შეხედულება იქ აღძრულ საკითხებზე.

ხალხი მოხსენებას მრავლად დაესწრო და მომხსენებელი ტაშით დააჯილდოვა. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. კ. კობახიძე.

—

სტუდენტთა კრება. ხუთშაბათს, ნოემბრის 25-ს, ლექციების შემდეგ. სახელმწ. უნივერსიტეტის დარბაზში შესდგა სოც.-ფედერ. სტუდენტთა კრება, რომელსაც დიდძალი ამხანაგები დაესწრნენ.

კრებამ მოისმინა რა დროებით პარტიულ ბიუროს მოხსენება, გადავიდა პირდაპირ არჩევნებზე და სახელმწ. უნივერ. სოც.-ფედ. პარტიულ ბიუროში აირჩია შემდეგი პირები: შ. კიკნაძე, გ. აბაშიძე, ნინო ნუცუბიძე, ნინო დგებუაძე, გ. ნაკაშიძე, ი. გოგორიშვილი და მოსიძე. კანდიდატებად ილ. ასათიანი, გოგოლა ჯანელიძე და გვახარია ამის შემდეგ კრებამ შეავსო მომავალ უნივერსიტეტის გამგეობის სია და დაადგინა, რომ რადგან სხვა ფრაქციებმა არ ისურვეს შეთანხმება, მოხდეს პროპორციონული არჩევნები.

—

სტუდენტთა კრება. კვირას, ნოემბრის 10-ს, 11 საათზე პარტიულ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 13) დანიშნულია ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტ. სოციალ-ფედერალისტთა კრება (დამფუძნებელი).

კრება ინიშნება მეორედ და შესდგება წევრთა სიმცირის მიუხედავათ.

—

კრება კუკიაში კვირას, ნოემბრის 10-ს დილის 12 ს. კუკიის უბანში სასულიერო სასწავლებლის შენობაში დანიშნულია ფრიად საჭირო საკითხების გასარჩევად პარტიული კრება. ამხანაგებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრნენ კრების შემდეგ მოხდება არჩევა საუბნო კომიტეტის

ძეგვის ხიდი

ხიდის აფეთქება

შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ხიდის აფეთქების საქმის გამოძიებას. გამოძიებას აწარმოებს იუსტიციის მინისტრთან ერთად. გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა, ვინაიდან ხიდის აფეთქების საქმე დიდ მასშტაბშია გადაშლილი.

ხიდის შეკეთების საქმე.

დაბრუნდნენ ტფილისში გზათა მინისტრი ბ. ლორთქიფანიძე და რკინის გზის საერთო საქმეთა მმართველი ბ. ფიცხელაური, რომელნიც ძეგვის დაზიანებულ ხიდის დასათვალიერებლად იყვნენ წასულნი, ხიდის შეკეთების საქმე სწრაფად მიდის. დღეს ხიდზე გაატარებენ ცალიერ მატარებელს, შემდეგ კი დატვირთულ მატარებლებს. მოძრაობის სრული წესიერი აღდგენა ამ ხიდზე დაიწყება არა უგვიანეს 4 დღისა. მთელ გზაზე გამოცხადებული სამხედრო წესები უკვე ძალაშია შესული. თითო ხიდზე არა ნაკლებ ორი ჯარისკაცისა გასწევს დარაჯობას დღე და ღამ. შემუშავებულია უკვე სავალდებულო დადგენილებანი, რომელიც ხვალიდან გამოქვეყნდება.

სამინისტროებში

იუსტიციის სამინისტრო.

სტატისტიკური მასალის გზავნა სამინისტროსთვის. იუსტიციის სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისის სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს განკარგულება მოახდინოს იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ყველა სასამართლო დაწესებულებამ უგზავნონ სამინისტროს სტატისტიკური მასალები: საქმეების მსვლელობის შესახებ, გამართლებულთა და დასჯილთა შესახებ

სასამართლო დაწესებულებათა გაეროვნებისათვის

იუსტიციის მინისტრმა შ. ალექსი-მესხიშვილმა განკარგულება მისცა იმის გამო, რომ სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებისთვის საჭირო ბლანკები და საერთოდ ყოველივე ნაბეჭდი მასალა ამიერიდან მხოლოდ ქართულად მზადდებოდეს.

საკოდიფიკაციო განყოფილება

იუსტიციის სამინისტროსთან დაარსებულ საკოდიფიკაციო განყოფილებაში სასწრაფოდ ემზადებიან „კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებულის გამოსაცემად. უახლოესი გამგებლობა საკოდიფიკაციო განყოფილებისა იუსტიციის მინისტრის მიერ დაეკისრა სამინისტროს იურისკონსულტს ვ. ა. დემიდოვს, ხოლო საერთო მეთვალყურეობა და უმაღლესი ხელმძღვანელობა მინისტრის ამხანაგს გრ. ივ. გველესიანს.

გზათა სამინისტრო

საავადმყოფოს კომისია.

გზათა მინისტრის ბრძანებით რკინის გზათა საავადმყოფოსა და ლიანდაგზე მისი უბნების ახალ შტატების მოსაწყობად დაინიშნა რკინის გზის საავადმყოფოს უფროს ექიმის შატილოვის თავმჯდომარეობით კომისია, რომლის წევრებად არიან ექიმები: დიასამიძე, ნაზაროვი, მაჰავარიანი, ექიმის თანაშემწე წილოსანი და ბ-ნი დიდიძე, ბოკერია და ძამაშვილი. ზემო ხსენებულ კომისიას ენიჭება უფლება, როგორც ექიმებისა, აგრეთვე დანარჩენ მოსამსახურეების დათხოვნისა და მიღებისა.

სააქციონერო საზოგადოება.

გზათა მინისტრმა შემდეგი ბრძანება გასცა საავტომობილო ნაწილის მმართველობის სახელზე:

„წინადადებას გაძლევთ შეუდგეთ საავტომობილო ნაწილის ლიკვიდაციას და სააქციონერო საზოგადოების შედგენას, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, რის გამო:

1) ათი დღის განმავლობაში წარმომიდგინეთ მთავრობის დასამტკიცებლად წესდება და სია სააქციონერო საზოგადოების დამფუძნებელთა.

2) „ავტოოტდელის“ მსახურთაგან შესდგეს საორგანიზაციო კომიტეტი სააქციონერო საზოგადოებისა თქვენის პირდაპირი ხელმძღვანელობით. ეს კომიტეტი უნდა შეუდგეს ფოსტის გადაზიდვას ავტომობილებით ეხლავ და არ დაუცადოს ვიდრე თვით სააქციონერო საზოგადოება დაარსდება.

3) გადაეცეს ლიკვიდაციის მოსახდენ „ავტოოტდელს“ მთელი ის ქონება, რომელიც უნდა გადასცემოდა სამხედრო სამინისტროს, გზათა მიმოსვლის ოლქს და სხვა მთავრობის დაწესებულებათ და აგრეთვე 10 ჩასაჯდომი ავტომობილი რეზერვის სახით, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, ხსენებულ რეზერვს „ავტოოტდელი“ გადასცემს გზათა უწყების იმ ორგანოს, რომელსაც მე მიუთითებ“.

განათლების სამინისტრო.

დროებითი ინსტრუქცია.

განათლების სამინისტრომ დაუგზავნა თავის უწყების ყველა სასწავლებელს დროებითი ახალი ინსტრუქცია ვაჟთა და ქალთა საშუალო სასწავლებელთა მართვა-გამგეობისთვის. ეს ინსტრუქცია გამოიცა იმ დროებითი დებულების მაგიერ, რომელიც გამოსცა 1917 წელს რევოლიუციის პირველ თვეებში კავკასიის კომისარიატმა ხარლამოვის დროს

ნოტა

კავკასიის კონფერენციისათვის

საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს მთავრობასთან სომხეთის წარმომადგენელს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც ბ. მინისტრი ატყობინებს, რომ კავკასიის კონფერენციის პროგრამას კონფერენციის მუშაობისათვის წინასწარი ხასიათი აქვს და კონფერენციის მონაწილეთ რა საკვირველია, აქვთ სრული შესაძლებლობა, რომ დღიურ წესრიგში სხვა საკითხებიც დასვან.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. ძალიან ფეროვან ხაკ-რგს, გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.

გორის ქუჩა, № 18 2278

ექიმი ბ. მუხაძელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 1[illegible] 2 საათ[illegible] [illegible] ქ. № [illegible]

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის [illegible]—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 ქალის აუდიტორიის ახლო. 2106

ექიმი ა. ბ. ბარამიძე. მიიღებს ვენერიული [illegible], სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილის 9—12 ს და საღამოთი 6—8 ს. ქალები იღებია 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის [illegible] პირდაპირ № 8. [illegible]

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს დღე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა სამკურნალო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიძისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. თურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. [illegible] აფთიაქის გვერდით. 908

ექიმი მ. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, [illegible] ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ციებისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 6—86. 1270

ექიმი დიმიტრი იოსების ძე შორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible]-ხახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ 9—26.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევენშტეინისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და [illegible] მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ [illegible]

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალის ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ახალი კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და [illegible] ავადმყოფები [illegible] მიიღება. 620

კერძო სამკურნალო
ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რუქავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი 2178

ექიმ ნაგახარდიანის კერძო ქირურ. სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ა. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ბ. აგახაროვა: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ნ. გ. ავეტისიანი [illegible] ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ორშაბათს, ნოემბრის 11-ს დილის 12 საათზე გამგეობის სადგომში მოხდება **საჯარო ვაჭრობა** მეორე უბანში მოსკოვის ქუჩაზე, წყლის მანქანასთან „ბუდკების“ ასაშენებელ ადგილებისა. ყოველგვარ ცნობის მიღება შეიძლება საადგილ-მამულო საარენდო განყოფილების სამეცადინო საათების განმავლობაში. 1404